დანახარჯების აღიარება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში წყდება, როდესაც იგი მიტანილია დანიშნულების ადგილზე და ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად. ამიტომ დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გამოყენებასთან ან ხელახალ გადაადგილებასთან, არ შეიტანება საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არ მოიცავს:

- ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს;
- ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯებს (სარეკლამო საქმიანობის ღირებულების ჩათვლით);

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

- ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯებს (პერსონალის სწავლების ჩათვლით);
- ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნაღებ დანახარჯებს;

კომპანია ძირითადი საშუალების დანახარჯებს აღიარებს მათი მოხდენისთანავე.

შემდგომი დანახარჯების აღრიცხვა

საწყისი აღიარების შემდგომი დანახარჯები - აღიარდება აქტივად, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების საწყისი აღიარების შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის თვითღირებულებაში მათი გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში არ ჩაირთვება მასზე გაწეული ყოველდღიური დანახარჯები (მაგ: მცირეფასიანი ნაწილების ღირებულება), ისინი აღიარდება მოგება-ზარალში მათი გაწევისთანავე.

კაპიტალური რემონტის მაგალითებია - შენობის არსებითი რემონტი, გაუმჯობესება, განახლება, დამატება რეკონსტრუქცია, რომელიც შეიძლება იყოს შენობის დიზაინის შეცვლა, სტრუქტურის გარდაქმნა, მიშენება, გაყვანულობის კაპიტალური შეცვლა, კონდიციონერების სისტემის შეცვლა, ცვლილება საკონონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით და სხვა. ზემოთ მოცემული არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს.

ძირითადი საშუალების ცვეთა

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება და წყდება იმ დღიდან, როდესაც შეწყდება ამ აქტივის აღიარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა არ წყდება მაშინ, როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი ან გამოსული არის აქტიური მოხმარებიდან. ცვეთის დარიცხვა გაგრძელდება სანამ აქტივის სრულად არ დაერიცხება ცვეთა (ან მიაღწევს სალიკვიდაციო ღირებულებას).

აქტივზე ცვეთის დარიცხვა ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს ყველა ძირითად საშუალებაზე. თითოეული ძირითადი საშუალების ცვეთის თანხის სიდიდე განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით:

- თავდაპირველი ღირებულება;
- სალიკვიდაციო ღირებულება;
- სასარგებლო მომსახურების ვადა.

სასარგებლო მომსახურების ვადა – ეს არის:

- პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან
- პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრის დროს, ძირითადი საშუალების დაჯგუფება ხდება საამორტიზაციო ჯგუფების მიხედვით და გამოიყენება შემდეგი ვადები ჯგუფების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	8 - 20
სპეც ტექნიკა	5 - 10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2 - 10
კონსტრუქციები/მოწყობილობები	5 - 10
სხვა	3
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 - 10

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა თითოეული აქტივისათვის მოხდა პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით. ასევე, კომპანიის მიერ ანალოგიური აქტივების ვადის გამოყენების გამოცდილებაზე.

ძირითად საშუალებებზე სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა კომპანიის მიერ ხორციელდება თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გასული წლის საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისთვის კომპანია იღენებს თვითღირებულების მეთოდს, იგი გულისხმობს, რომ ძირითადი საშუალებების კომპონენტები აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება:

ა) გაყიდვის შემთხვევაში, ან

ბ) როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი.

კომპანია აღიარებს ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, ერთეულის შემცვლელის ღირებულებას, როდესაც წყდება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება, იმის მიუხედავად, ხდება თუ არა შეცვლილი ნაწილის ცვეთის დარიცხვა ცალკე.

თუ ძირითადი საშუალების ერთეულის ჩამოწერის დროს, რჩება ისეთი ნაწილები ან მასალები, რომლის გამოყენებასაც კომპანია გეგმავს მომავალ პერიოდში, მაშინ ესეთი სახის მასალები ბუღალტერიაში აღიარდება მარაგების სახით და შეფასებული იქნება ამ აქტივის ნარჩენ ღირებულებას დამატებული ამ აქტივის დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები, განაწილებული მასალების რაოდენობაზე.

შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა (თუ ასეთი არსებობს) და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

კომპანია არამატერიალური აქტივების აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს 18 «არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა» და მსს ფასს 27 «აქტივების გაუფასურების» შესაბამისად.

განმარტებები

არამატერიალური აქტივი – არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე.

აქტივი არის იდენტიფიცირებადი, თუ იგი:

ა) განცალკევებადია, ე.ი. შესაძლებელია მისი გამოყოფა საწარმოდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზირება, გაქირავება ან გაცვლა, ცალკე ან მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა განზრახული საწარმოს ამის გაკეთება; ან

ბ) წარმოიქმნება სახელშეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებით, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული უფლებების გადაცემა ან განცალკევება საწარმოსგან ან სხვა უფლებებისა და მოვალეობებისგან.

სააღრიცხვო პრინციპები

აქტივი კლასიფიცირდება როგორც არამატერიალური, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) არის იდენტიფიცირებადი;

ბ) არის კონტროლირებადი;

გ) შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შეფასება იმისა თუ რამდენად მოელის კომპანია აქტივის გამოყენებით ეკონომიკურ სარგებლის მიღებას ყოველთვის ხდება პროფესიული მსჯელობის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივის საწყისი აღიარება

არამატერიალური აქტივის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

შეძენილი აქტივის თვითღირებულება მოიცავს:

- მისი შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლისა და შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, შეღავათებისა და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; და
- აქტივის გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.
- დანახარჯები რომლებიც არ გაითვალისწინება არამატერიალური აქტივის შესყიდვის თვითღირებულებაში:
- ახალი პროდუქტის ან მომსახურების ათვისების დანახარჯები;
- ახალ ადგილზე ან კლიენტების ახალ ჯგუფთან ბიზნესის წარმოების დანახარჯები (თანამშრომელთა გადამზადების დანახარჯების ჩათვლით);
- ადმინისტრაციისა და სხვა საერთო ზედნაღები ხარჯები;
- დანახარჯები, რომლებიც გაწეულია იმ დროს, როცა აქტივი რომელიც იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება საწარმოს ხელმძღვანელობისათვის

საჭირო ფორმით, ჯერ არ არის გამოყენებული; და

- საწყისი საოპერაციო დანაკარგები, როგორიცაა დანაკარგები წარმოშობილი აქტივის პროდუქტზე მოთხოვნის ჩამოყალიბების დროს.

შემდგომი დანახარჯების აღრიცხვა

არამატერიალურ აქტივზე საწყისი აღიარების შემდგომ დანახარჯი აღიარდება ხარჯის სახით მაშინ, როდესაც დანახარჯი იქნა გაწეული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის იმ არამატერიალური აქტივის თვითღირებულების ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს მისი აღიარების კრიტერიუმს.

საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივი აღიარდება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეძენის თარიღისთვის შესაძლებელია მიზანშეწონილი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული დანახარჯები მიიჩნევა შეძენის თარიღით გუდვილად აღიარებული თანხის ნაწილად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია

აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება და წყდება იმ დღიდან, როდესაც შეწყდება ამ აქტივის აღიარება. აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვა არ წყდება მაშინ, როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი ან გამოსული არის აქტიური მოხმარებიდან. ამორტიზაციის დარიცხვა გაგრძელდება იქამდე სანამ აქტივის სრულად არ დაერიცხება ამორტიზაცია.

ამორტიზაციის დარიცხვა აქტივზე იწყება იმ თვის პირველი რიცხვიდან რომელშიც იქნა ექსპლუატაციაში შესული და წყდება ამორტიზაციის დარიცხვა იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელშიც მოხდება აქტივის გაყიდვა, ჩამოწერა ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირება.

აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვას კომპანია აწარმოებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ყველი პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის დარიცხვის „წრფივ მეთოდს“ ყველა არამატერიალურ აქტივზე.

თითოეული არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის თანხის სიდიდე განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით:

- თავდაპირველი ღირებულება;
- ნარჩენი ღირებულება;
- სასარგებლო მომსახურების ვადა.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრის დროს, არამატერიალური აქტივების დაჯგუფება ხდება საამორტიზაციო ჯგუფების მიხედვით და გამოიყენება შემდეგი ვადები ჯგუფების მიხედვით:

არამატერიალური აქტივების ჯგუფი

**სასარგებლო
მომსახურების ვადა**

სააღრიცხვო პროგრამა

10 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა თითოეული აქტივისათვის დაყრდნობილია პროფესიულ მსჯელობაზე და, ასევე შემდგომში, კომპანიის მიერ ანალოგიური აქტივების ვადის გამოყენების გამოცდილებაზე.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედა ხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება

არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარების შემდგომ შეფასებას კომპანია ახორციელებს ანალოგიური პრინციპებით როგორც ძირითადი საშუალების შემდგომი აღრიცხვის დროს

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტას კომპანია ახორციელებს ანალოგიური პრინციპებით, როგორც ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მარაგების აღრიცხვა

კომპანია მარაგებს აღრიცხავს მსს ფასს 13 «მარაგების» შესაბამისად.

განმარტებები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები არის ისეთი აქტივები, რომლებიც:

- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ბ) მონაწილეობენ წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად;
- გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

სააღრიცხვო პრინციპები

მარაგების საწყისი აღიარება

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს:

- მათი შეძენის (ნასყიდობის) ფასი;
- საიმპორტო საბაჟო გადასახადი და სხვა გადასახადები (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს);
- ტრანსპორტირების ხარჯი;
- მივლინების დანახარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მარაგის შეძენასთან;
- გადამუშავების დანახარჯი;

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

- სხვა დანახარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული შეძენასთან, დანიშნულების ადგილამდე მიტანა და გადატვირთვა;
- შესყიდვის ან გადამუშავების დროს ნორმატიული დანახარჯი .

შეძენის დროს მიღებული სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების შეფასება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულების განსაზღვრისათვის ყველა სახის მარაგზე იყენებს ფიფო მეთოდს.

ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ხელახლა გაიანგარიშება. თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებმაც გამოიწვიეს მარაგების თავდაპირველი ჩამოფასება თვითღირებულებაზე დაბლა, უნდა მოხდეს ჩამოწერილი თანხის კომპენსაცია.

ნებისმიერი მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხა, აგრეთვე მარაგების დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა, უნდა აღიარდეს იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული მაშინ, როდესაც მოხდა უკუგატარება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს კომპანია აღრიცხავს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: მსს ფასს მე-11 განყოფილება «ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები», მსს ფასს მე-12 განყოფილების «სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები» .

განმარტებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები – მოიცავს მომსახურების გაწვიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნებთან დაკავშირებულ საეჭვო ვალების რეზერვს, თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებს, გადახდილ ავანსებს და სხვა დებიტორულ დავალიანებებს. დებიტორული დავალიანება მოიცავს კომპანიის წინაშე წარმოქმნილ კონტრაგენტების დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები – მოიცავს მომსახურების გაწვის დროს წარმოქმნილ ვალდებულებებს კონტრაგენტების წინაშე, სახელფასო ვალდებულებებს, მიღებულ ავანსებსა და სხვა არასავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

კონტრაგენტი – არის ჩვეულებრივი სავაჭრო ან სხვა კაპიტალური ოპერაციების დროს გარიგებაში მონაწილე მხარე.

დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ამორტიზებადი ღირებულება – არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება საწყისი აღიარების დროს, შემცირებული ძირითადი გადასახდელი თანხებით, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ

ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აკუმულირებული ამორტიზაციით და გამოკლებული (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი – განსაზღვრავს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილებას უზრუნველყოფს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს

კლასიფიკაცია და დაჯგუფება

აღრიცხვის მიზნებისთვის კომპანია აღიარებს დებიტორული და კრედიტორული ანგარიშების შემდეგ კლასიფიკაციას:

- **მოკლევადიანი** – არის ანგარიშები, რომელთა შესაძლო დაფარვის ვადა განისაზღვრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ 12 თვით.
- **გრძელვადიანი** – სხვა ყველა დანარჩენი

სააღრიცხვო პრინციპები

აღიარების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საწყისი აღიარება და შეფასების კრიტერიუმები

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების (შეთანხმების) მონაწილე და სრულდება შემდეგი პირობები:

- არსებობს აღნიშნული აქტივიდან (ვალდებულებიდან) ეკონომიკური სარგებელის მიღების (გასვლის) მაღალი ალბათობა;
- აქტივის ან ვალდებულების ღირებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

თავდაპირველი აღიარებისას დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები ფასდება რეალური ღირებულებით (გარიგების ღირებულებით), გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები შემდგომ ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან
- იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან

შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კონტრაგენტებთან დადებული გარიგებების საფუძველზე, იდენტიფიცირება ხდება ვადაგადაცილებული დებიტორების, რომლებზეც ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება შესაძლო გაუფასურების ანალიზი.

ანალიზის დროს ფასდება მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მოცულობა და ხდება საბალანსო და მომავალში მისაღებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარება, სხვაობის არსებობის შემთხვევაში დებიტორს ერიცხება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა (ჩათვლა)

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა უნდა მოხდეს და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახოს ნეტო თანხით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება; და

ბ) საწარმო ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს.

ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, საწარმოს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება.

წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება, რომ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე, როდესაც ასეთი წარდგენა ასახავს საწარმოში მოსალოდნელ ფულადი სახსრების ნაკადს, ორი ან ორზე მეტი ცალკე აღებული ფინანსური ინსტრუმენტით ანგარიშსწორებიდან. როდესაც საწარმოს მხოლოდ ერთი ნეტო თანხის მიღების ან გადახდის უფლება აქვს და ამის გაკეთებას აპირებს, ეს ნიშნავს, რომ მას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება აქვს. სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარედგინება ცალ-ცალკე, მათი მახასიათებლების მიხედვით, საწარმოს რესურსების ან ვალდებულებების სახით.

სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა

განმარტებები

სამუშაო ვალუტა – არის ვალუტა, რომელიც გამოიყენება ძირითად ეკონომიკურ სფეროში, რომელშიც ორგანიზაცია აწარმოებს საქმიანობას.

წარდგენის ვალუტა – არის ვალუტა, რომელშიც კომპანია წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას.

ფულადი მუხლები - არის საწარმოს განკარგულებაში არსებული ფული, მისაღები აქტივები და გასანადგებელი ვალდებულებები, რომლებიც გადახდილი ან მიღებული იქნება ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულებით.

არაფულადი მუხლი - მუხლი, რომლისთვისაც დამახასიათებელი არსებითი ნიშანია ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ფულის ერთეულების მიღების უფლების (ან მიწოდების ვალდებულების) არარსებობა.

საადრიცხვო პოლიტიკა

ოპერაციებში კომპანია სამუშაო ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ის „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში“ მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით

ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გადაანგარიშდება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსი

გ) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების აღრიცხვა

მიმდინარე და გადავადებულ გადასახადი აღირიცხება მსს ფასს 29-ე განყოფილების “მოგების გადასახადი” მიხედვით.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადის საწყისი აღიარება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის თავისებურებიდან გამომდინარე არ არსებობს დროებითი სხვაობები საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ღირებულებას შორის, შესაბამისად გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება არ აღიარდება.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არა უგვიანეს

მომღევნო თვის 15 რიცხვამდე.

კომპანია მოგების გადასახადს აღიარებს დივიდენდის განაწილებისას იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდის განაწილებას, მიუხედავად იმისა რომელ პერიოდში გაიცემა დივიდენდი ან რომელი პერიოდის მოგებიდან გაიცემა დივიდენდი.

განმარტებითი შენიშვნები

მიმდინარე და გადაღებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარდება ცალ-ცალკე ბალანსში. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება და აქტივი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

შემოსავლები

შემოსავლები აღირიცხება მსს ფასს 23-ე განყოფილების «ამონაგები» მოთხოვნების შესაბამისად.

შემოსავლების ჯგუფები

კომპანია შემოსავლებს დაყოფას ახდენს შემდეგნაირად:

- შემოსავლები ძირითადი საოპერაციო საქმიანობიდან;
- შემოსავლები არასაოპერაციო საქმიანობიდან.

ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება:

- შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან;
- შემოსავლები სარეკლამო/საპრომოციო სერვისის გაწვიდან.

არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება:

- საპროცენტო შემოსავლები;
- შემოსავლები კურსთაშორისი სხვაობიდან

საადრიცხვო პრინციპები

შემოსავალი აღიარდება როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- მოსალოდნელია საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა, რომელიც გამოხატულია საწარმოში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით; და
- სარგებლის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

ამონაგების შეფასება

საცალო გაყიდვები: კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

კომპანია პროდუქციას ყიდის ფიქსირებული ფასებით თითოეულ პროდუქტზე, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე ფასების განაწილებისას.

კორპორატიული გაყიდვების შემთხვევაში თუ ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტის შემოსვლა საწარმოში გადავადებულია 12 თვეზე მეტხანს, ანაზღაურების რეალური ღირებულება შეიძლება აღმოჩნდეს მიღებული ან მისაღები ფულის ნომინალურ თანხაზე ნაკლები. ასეთ შემთხვევაში ანაზღაურების რეალური ღირებულება განისაზღვრება მომავალში მისაღები თანხების დისკონტირებით, საბაზრო პროცენტის განაკვეთით.

საქონლის გაყიდვა

შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. კომპანია შემოსავლად აღიარებს გარიგების ღირებულების ოდენობას, რაც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და შედავათების, დღგ-ს და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

საპრომოციო - სარეკლამო საქმიანობა

ასეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, მომწოდებლებს საფასური მათი პროდუქციის ყველა ღონისძიებაზე სასურველ სივრცეში წარმოდგენისთვის ეკისრებათ. საფასური შეთანხმებულია მომწოდებლის ხელშეკრულებაში და განსხვავდება მომწოდებლების მიხედვით სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით (სასურველი სივრცის მდებარეობა, მაღაზიების რაოდენობა, სივრცის ოდენობა, პერიოდი და ა.შ). მომწოდებლებს შეუძლიათ არ აირჩიონ მოცემული მომსახურება მათი მოთხოვნების მიხედვით. კომპანიას გააჩნია სპეციალიზირებული გაყიდვების გუნდი რომელიც გეგმავს ასორტიმენტის პოზიციონირებას და სახეობას მომწოდებლის მოთხოვნების და საქონლის ტიპების მიხედვით. ნაკისრი ვალდებულებები მოიცავს მომწოდებლის საქონლის პოზიციონირებას მაღაზიის ისეთ სივრცეში, სადაც ის უფრო მეტ სასურველ ყურადღებას მიიპყრობს კლიენტებისგან და მაღაზიის შიდა საპრომოციო ღონისძიებების ჩატარებას მომწოდებლის კონკრეტული პროდუქციის რეკლამირების მიზნით. ნაკისრი ვალდებულებები კმაყოფილება დროის განმავლობაში როდესაც მომწოდებელს მიეწოდება აღნიშნული მომსახურება.

მოცემულ შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება ყოველი თვის ბოლოს წინასწარ შეთანხმებული საფასურის გამოყენებით. აღიარებული საფასური შესაძლოა აღდგენილ იქნეს მომწოდებლისგან შეძენილი საქონლისთვის წარმოშობილი ვალდებულებების გაქვითვის გზით.

შემოსავალი რეალიზაციიდან ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ ავანსი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, შემოსავალი უნდა შეფასდეს მიღებული ავანსის დღის კურსით. ხოლო მოთხოვნის მომავალი გადახდის პირობის შემთხვევაში, შემოსავალი უნდა შეფასდეს სერვისის გაწევის დღეს არსებული კურსით. სხვაობები, რომელიც წარმოიქმნება აღიარებულ შემოსავალსა და გადახდილ თანხას შორის, უნდა აღიარდეს საამგარიშგებო პერიოდის საკურსო სხვაობის ანგარიშზე.

ხარჯები

განმარტებები

ხარჯი – არის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური სარგებელის შემცირება აქტივების გასვლის ან ვალდებულების გაზრდა, რომელთაც გამოიწვიეს კაპიტალის შემცირება. ხარჯებს არ უკავშირდება პარტნიორებს შორის კაპიტალის განაწილება.

ხარჯების კლასიფიკაცია და დაჯგუფება

კომპანია შემოსავლებისა და ხარჯების ტიპებს მოგება-ზარალში ასახავს „ხარჯების ეკონომიკური შინაარსის“ მიხედვით:

საოპერაციო ხარჯების კლასიფიკაცია:

სხვა საოპერაციო ხარჯების აღიარება და შეფასება

ბუღალტრულ აღრიცხვაში ხარჯები აღიარდება მაშინ, როდესაც შესრულდება შემდეგი პირობები:

- შესაძლებელია ხარჯის სიდიდის საიმედოდ განსაზღვრა; და
- თუ საწარმოდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების გაზრდასთან.

თუ გაწეულ ხარჯს არ მიეყვართ მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელთან, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ ან აღარ შეესაბამება აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მაშინ გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც გამოვლინდება აღნიშნული გარემოებები.

დარიცხვის მეთოდის შესაბამისად ხარჯი აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც იქნა გაწეული და არა მაშინ, როდესაც მიღებული იქნა პირველადი დოკუმენტები, ან გადახდილი იქნა ფულადი სახსრები.

საიჯარო ხარჯი:

კომპანია იჯარას აღრიცხავს მსს ფასს 20 «იჯარის» მოთხოვნების შესაბამისად.

განმარტებები

იჯარა - არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე, საიჯარო გადასახდელის ან გადასახდელების სერიის მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

კლასიფიკაცია

იჯარის კლასიფიცირება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად ეფუძნება ხელშეკრულების შინაარსს და არა მის იურიდიულ ფორმას.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

საოპერაციო იჯარის აღრიცხვა მოიჯარესთან

საოპერაციო იჯარის დროს, საიჯარო გადასახდელები საიჯარო ვადის განმავლობაში აღიარდება ხარჯად/შემოსავლად წრფივი მეთოდის მიხედვით.

პერსონალის ხარჯი:

განმარტება

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, საპენსიო შენატანები, ფასიანი წლიური შვებულება და ბიულეტენი, მოგებაში მონაწილეობა და ბონუსები და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო დაზღვევა, ბინით და ავტომანქანით უზრუნველყოფა, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის.

ადიარება და შეფასება

საწარმოს მოეთხოვება ადიაროს:

ა) ვალდებულება მაშინ, როდესაც მომუშავემ მომსახურება გასწია მომავალში გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ; და

ბ) ხარჯი მაშინ, როდესაც საწარმო მოიხმარს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღო მომუშავეს მიერ გასამრჯელოს სანაცვლოდ გაწეული მომსახურებიდან.

საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ადიაროს პრემიების მოსალოდნელი ხარჯი, თუ:

ა) წარსული მოვლენების შედეგად საწარმოს ეკისრება ზემოთ აღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა; და

ბ) შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე მოვალეობა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

კლასიფიკაცია

მომუშავეთა გასამრჯელოებს განეკუთვნება:

ა) მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, საპენსიო შენატანები, წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენი, მოგების განაწილება და ბონუსები და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო მომსახურება, ბინითა და ავტომანქანით უზრუნველყოფა, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის;

გ) მომუშავეთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები, მათ შორის, შვებულება ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის ან ანაზღაურებადი შემოქმედებითი შვებულება, საიუბილეო ან სხვა დახმარებები ხანგრძლივი სამსახურისათვის, გრძელვადიანი დახმარებები შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, პრემიები და გადავადებული კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გასამრჯელოები გაიცემა პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ;

მომუშავეს მოკლევადიანი გასამრჯელოები

მომუშავეს მოკლევადიან გასამრჯელოებს განეკუთვნება:

ა) მოკლევადიანი კომპენსირებადი გაცდენები (მაგალითად: ფასიანი წლიური შვებულება და ბიულეტენი), როდესაც გაცდენების კომპენსაცია გადასახდელია 12 თვის განმავლობაში იმ პერიოდის დამთავრებიდან, როდესაც მომუშავემ შესაბამისი მომსახურება გასწია;

ბ) მოგებაში მონაწილეობის წილი და გადასახდელი პრემიები 12 თვის განმავლობაში იმ პერიოდის დამთავრებიდან, როდესაც მომუშავემ შესაბამისი მომსახურება გასწია; და

გ) არაფულადი გასამრჯელოები (მაგალითად: სამედიცინო მომსახურება, ბინით უზრუნველყოფა, მანქანით მომსახურება, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ

თანამშრომელთათვის.

კაპიტალი

კაპიტალი – წარმოადგენს აქტივების ნაწილს, რომლებიც ეკუთვნის მესაკუთრეებს და ღგინდება, როგორც სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებას შორის.

კაპიტალი შედგება ორი კომპონენტისგან სადამფუძნებლო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი.

საადრიცხო პრინციპები

სადამფუძნებლო კაპიტალი

სადამფუძნებლო კაპიტალში დამფუძნებლის მიერ აქტივების შეტანა შეიძლება მოხდეს ფულადი ან არაფულადი ფორმით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული შენატანები აღრიცხება შეტანის თარიღში ეროვნულ ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი კურსით. არაფულადი ფორმით განხორციელებული შენატანების აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება, როდესაც მოხდება მისი გამოცხადება.

გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი

კომპანიის საქმიანობის შედეგები და მოგცხადებული დივიდენდები აისახება გაუნაწილებელი მოგების/დაგროვილი ზარალის ანგარიშზე.

ფულადი საშუალებები

განმარტებები

ფულადი საშუალებები – არის კომპანიის ფულადი საშუალებები სალაროში, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე არსებული თანხები.

ფულადი სახსრების ექვივალენტები – არის მოკლევადიანი, მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

აღრიცხვა და წარდგენა

კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი სახსრები საბანკო აგარიშზე გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის გამოყენებით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განმარტება

აქტივების გაუფასურების აღრიცხვისას კომპანია ხელმძღვანეობას მსს ფასს 27-ე განყოფილების მოთხოვნებით.

აღრიცხვა და წარდგენა

საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ინდიკატორები აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთი ინდიკატორების შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

მის ფასს სტანდარტი მოითხოვს გუდვილისა და ყველა არამატერიალური აქტივის ამორტიზაციას. როდესაც გუდვილი სრულად ამორტიზდება (მისი საბალანსო ღირებულება არის ნულის ტოლი) შეუძლებელია მისი შემდგომი გაუფასურება (და გუდვილის წინა პერიოდების გაუფასურების კომპენსირება აკრძალულია) შესაბამისად, მას გაუფასურების ტესტი აღარ ჩაუტარდება.

ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების ზარალის არიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშებაში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

განმარტება

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია.

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგად საწარმოს არა აქვს, ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, რეალური ალტერნატივა.

პირობითი ვალდებულება წარმოადგენს:

ა) შესაძლო მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

ბ) მიმდინარე მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

- მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა; ან
- ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი აქტივი არის შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენის შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს

აღრიცხვა და წარდგენა

ანარიცხი უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც:

- საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

აღნიშნული პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ანარიცხი არ უნდა აღიარდეს.

საწარმომ არ უნდა აღიაროს პირობითი ვალდებულება. პირობითი ვალდებულება აისახება ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

როდესაც საწარმოს გააჩნია მოვალეობის შესრულების სოლიდარული პასუხისმგებლობა, მოვალეობის ის ნაწილი, რომლის დაფარვაც მოსალოდნელია სხვა მხარეების მიერ, მიიჩნევა პირობით ვალდებულებად, ხოლო იმ ნაწილისათვის, რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა, საწარმო აღიარებს ანარიცხს, გარდა იმ იშვიათი შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები შესაძლოა არ განვითარდეს იმგვარად, როგორც თავდაპირველად იყო მოსალოდნელი. ამიტომ განუწყვეტილად ხდება მათი შეფასება ეკონომიკურ სარგებელში განივებული სარგებლის გასვლის ალბათობის განსაზღვრის მიზნით. თუ მოსალოდნელი იქნება, რომ პირობითი ვალდებულების სახით ასახული მოვალეობის შესასრულებლად, საჭირო გახდება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა, უნდა მოხდეს ანარიცხის აღიარება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა ეკონომიკურ სარგებელში განივებული სარგებლის გასვლის ალბათობის შეცვლა (გარდა იმ იშვიათი შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია საიმედოდ შეფასება).

საწარმომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი. პირობითი აქტივები წარმოიქმნება დაუგეგმავი ან სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების შედეგად, რომლებიც წარმოიქმნის საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობას. ამის მაგალითს წარმოადგენს სარჩელი, რომელიც საწარმომ შეიტანა სასამართლოში და მისი შედეგი გაურკვეველია.

პირობითი აქტივების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება არ ხდება, რადგან შესაძლოა ამან გამოიწვიოს იმ შემოსავლის აღიარება, რომლის მიღებაც შესაძლოა არასოდეს არ მოხდეს. მიუხედავად ამისა,

როდესაც შემოსავლის მიღება, ფაქტობრივად, ეჭვს არ იწვევს, მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება.

როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებში მოხდება პირობითი აქტივის ასახვა.

პირობითი აქტივების შეფასება ხდება განუწყვეტილად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოვლენების განვითარების სათანადოდ ასახვა ფინანსურ ანგარიშგებებში. თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ეჭვს აღარ იწვევს, მოცემული აქტივის და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება მოხდება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა აღნიშნული ცვლილება. როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა, საწარმო ასახავს მოცემულ პირობით აქტივს

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

განმარტება

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც ხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ნებადართულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის მოვლენა:

- მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებზე (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები); და
- მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში (საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები).

აღრიცხვა და წარდგენა

საწარმომ უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით.

საწარმომ არ უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითია ინვესტიციების საბაზრო ღირებულების დაცემა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნების დართვის თარიღამდე. საბაზრო ღირებულების დაცემა, ჩვეულებრივ, არ ეხება ინვესტიციების პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, არამედ ასახავს გარემოებებს, რომლებიც წარმოიშვა მომდევნო პერიოდში.

დაკავშირებულ მხარეთა განმატრებიო შენიშვნა

განმარტება

დაკავშირებული მხარე _ მხარე ჩაითვლება საწარმოსთან დაკავშირებულად, თუ:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით;
- ბ) მხარე საწარმოს მეკავშირე საწარმოა.

დაკავშირებულ მხარეთა სამეურნეო ოპერაცია - რესურსების ან ვალდებულებების გადაცემა დაკავშირებულ მხარეებს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა.

პიროვნების ოჯახის წევრები - არიან ოჯახის ის წევრები, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ, ან თავად იყვნენ პიროვნების გავლენის ქვეშ საწარმოს საქმიანობასთან მიმართებაში. მათ შორის შესაძლოა იყვნენ:

ა) პიროვნების მეუღლე ან შვილები;

ბ) პიროვნების მეუღლის შვილები; და

გ) ამ პიროვნების ან მისი მეუღლის კმაყოფაზე მყოფი პიროვნებები.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო არის საწარმოს მიერ ან საწარმოს სახელით ნებისმიერი ფორმით გადახდილი ან გადასახდელი ანაზღაურება, საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. იგი ასევე მოიცავს ასეთი სახის ანაზღაურებას, რომელიც საწარმომ გადაიხადა სათავო საწარმოს სახელით. კომპენსაციას განეკუთვნება:

ა) არსებული თანამშრომლების მოკლევადიანი გასამრჯელოები, როგორიცაა, ხელფასი, თანამდებობრივი სარგო, სოციალური დაზღვევა, ყოველწლიური ფასიანი შვებულება და ფასიანი ბიულეტენი, მოგებაში მონაწილეობა და პრემიები (თუ ანაზღაურებადია 12 თვის განმავლობაში, პერიოდის დასრულებიდან) და არაფულადი სარგებელი (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, მანქანები და უფასო ან დაფინანსებული (სუბსიდირებული) საქონელი და მომსახურება);

ბ) შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოები;

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმებიან ის პიროვნებები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

შენიშვნა: ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებები არ მომხდარა, ძირითადი საშუალებების რამოდენიმე ჯგუფს დაემატა ისეთი ძირითადი საშუალებები რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა ცდება 2020 წლის სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული სასარგებლო გამოყენების ვადის დიაპაზონს, რამაც გამოიწვია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფის სასარგებლო გამოყენების ვადების დიაპაზონის ზრდა და არ მომხდარა 2020 წელს გაანგარიშებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხელახლა გაანგარიშება, რაც გამოიწვევდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ

ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოზე, სადაც გამოიყენება აქტივი. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორებები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	სხვა ურთიერთდამოკიდებული პირები
სავაჭრო მოთხოვნა/ავანსი	7,228	-
სავაჭრო ვალდებულება	131,835	-

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან:

	მშობელი კომპანია	სხვა ურთიერთდამოკიდებული პირები
ამონაგები რეალიზაციიდან	73,439	-
საპროცენტო სარგებელი	-	66,186
ექვირინგის საკომისიო	-	114,556
ბანკის საკომისიო	-	15,440
დაზღვევის ხარჯი	-	24,792
საიჯარო ხარჯი	290,562	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	86,485	-

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	სხვა ურთიერთდამოკიდებული პირები
სავაჭრო მოთხოვნა/ავანსი	263	51,713
სავაჭრო ვალდებულება	90,995	-

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან:

	მშობელი კომპანია	სხვა ურთიერთდამოკიდებული პირები
ამონაგები რეალიზაციიდან	18,612	-
საპროცენტო სარგებელი	-	79,724
ექვირინგის საკომისიო	-	40,868
ბანკის საკომისიო	-	10,012
დაზღვევის ხარჯი	-	22,071
საიჯარო ხარჯი	117,775	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	4,192	-

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის (კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირი და ფინანსური დირექტორი) ანაზღაურებამ, რომელიც მოიცავს ხელფასს, ბონუსს და სხვა მოკლევადიან სარგებელს, 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შეადგინა 194.7 ათასი ლარი. ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის მენეჯმენტის ანაზღაურებამ შეადგინა 241.5 ათასი ლარი

5. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

მსს ფასს-ში განახლება ან ცვლილებები, წინა საანგარიშგებო პერიოდიდან შედგენიდან მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, არ მომხდარა.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

ფასს 16 - ფინანსური იჯარა

ფასს 16, „ფინანსური იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარის ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღების თარიღში არსებული იჯარის ვალდებულების თანხით (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან ღარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა

(გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს აღილი არ ჰქონიათ.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“
- ცვლილებები ფასს 9-ში - „ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ცვლილებები ასს 28-ში „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“
- ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში - ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების

შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
 ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	სპეც ტექნიკა	ავჯი და სხვა ინვენტარი	კონსტრუქციები/ მოწყობილობები	სხვა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ძ.ს. ექსპლუატაციაში შესვლამდე	სულ
ბალანსი 31.12.2020	215,257	265,741	662,448	346,421	75,322	270,152	8,477	1,843,817
შეძენა	-	7,183	59,075	44,869	4,772	35,864	132,832	284,594
გასვლა	-	(4,130)	(8,956)	-	-	(21,517)	(136,393)	(170,997)
ბალანსი 31.12.2021	215,257	268,793	712,566	391,289	80,093	284,500	4,916	1,957,415
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2020	10,926	23,540	103,791	26,058	11,488	4,916	-	180,719
ამორტიზაციის ხარჯი	16,560	28,461	120,445	36,972	26,289	35,845	-	264,573
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-	(336)	(2,250)	-	-	(160)	-	(2,746)
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2021	27,486	51,665	221,986	63,030	37,777	40,601	-	442,546
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	204,330	242,201	558,657	320,362	63,834	265,236	8,477	1,663,098
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	187,771	217,128	490,580	328,259	42,316	243,899	4,916	1,514,868

გარემოებები, რომელიც მიანიშნებდა საწარმოს ძირითადი საშუალებების გაუფასურებას, არ არსებობს. ასევე არ არსებობს ისეთი გარემოებები რომელიც მიანიშნებდა ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების ან მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას.

7. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული ლიცენზიები	არამატერიალური აქტივები შექმნის პროცესში	სხვა არამატერიალური	სულ
ბალანსი 31.12.2020	126,300	0	46,289	172,589
შეძენა	5,804	26,333	20,400	52,537
გასვლა	-	(26,333)	-	(26,333)
ბალანსი 31.12.2021	132,104	0	66,689	198,793
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2020	5,503	0	1,167	6,670
ამორტიზაციის ხარჯი	20,572	-	9,273	29,845
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-	-	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2021	26,075	0	10,440	36,516
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	120,797	0	45,122	165,918
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	106,029	0	56,249	162,277

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები	31 დეკ 2021	01 იან 2021
საქონელი	6466261.05	7844123.52
მზა პროდუქცია	37594.39	2001.4
არაგასაყიდი საქონელი	10617.29	10181.7
საწვავი	1368.97	1221.09
ჯამი	6,515,842	7,857,528

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, კომპანიის გარკვეული მარაგები გაუფასურდა ბაზარზე რომელთა შეფასებაც საჭირო გახდა თვითღირებულებაზე ნაკლებად, შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით და 2021 წლის მარაგების გაუფასურების ზარალი 58 771 ლარი შეადგინა.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკ 2021	01 იან 2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	764,387	938,738
დავალიანების ხელფასიდან დაკავება (მიჰაუსის პროდუქციის შეძენის)	3,091	-
მოთხოვნები სასაჩუქრე სერტიფიკატის რეალიზაციით	2,575	46,700
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	776	279
სხვა მოთხოვნები	72	-
ჯამი	770,901	985,717

კომპანიის 2021 წლის, საექვო დებიტორული მოთხოვნების, რეზერვა 228 847 ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წლის რეზერვი 14 000 ლარს შეადგენდა.

10. გადახდილი ავანსები

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

ავანსები	31 დეკ 2021	01 იან 2021
გადახდილი ავანსები	635,890	651,923

მოცემული ავანსები შედგება, კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებისგან.

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31 დეკ 2021	01 იან 2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,828,211	609,213
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	40,751	16,605
ფული გზაში	28,914	51,603
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9,258	406,309
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	5,031	-
საცალო ვაჭრობის შუალედური ანგარიში	112	-
ჯამი	1,912,278	1,083,730

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

12. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 14,225,921 ლარს, 2020 წლის ბოლოს მიიღო 4,183,498 ლარის აკუმულირებული ზარალი, აქედან გამომდინარე კომპანიის კაპიტალი 2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგინა 10,042,423 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიი საწესდებო კაპიტალი შეივსო 1,406,940 ლარით და წლის ბოლოს შეადგინა 15,632,861 ლარი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 2,990,999 ლარის ზარალი.

დივიდენდის გაცემა 2021 წლის განმავლობაში არ მომხდარა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კომპანიის კაპიტალმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 8,460,268 ლარი.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკ 2021	01 იან 2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,977,655	2,255,680
გადასახდელი ხელფასები	7,790	78,866
ჯამი	2,985,445	2,334,546

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებებისგან.

14. შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები	2021 წელი	2020 წელი
საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლები	19,141,856	9,432,502
შემოსავლები იჯარიდან	9,339	3,146
ჯამი	19,151,195	9,435,648

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს საქონლის რეალიზაცია წარმოადგენს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ოპერაციები.

არასაოპერაციო შემოსავლები	2021 წელი	2020 წელი
საქონლის ზედმეტობით მიღებული შემოსავალი	388,761	192,594
შემოსავალი საშემოსავლო გადასახადი სუბსიდიიდან	83,578	79,243
შემოსავალი დეპოზიტიდან	66,186	79,724
შემოსავალი ფასდაკლებიდან	29,571	-
შემოსავალი კრედიტ ნოტებიდან	7,569	609
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	4,180	5,362
შემოსავალი საქონლის უსასყიდოდ მიღებიდან	2,896	9,191
ვალის პატივებით მიღებული შემოსავალი	1,861	-
დიზაინერული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	470	-
შემოსავალი სალაროების ზედმეტობიდან	366	733
ჯამი	585,438	367,456

15. ხარჯები

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2021 წელი	2020 წელი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15,727,870	7,768,554

კომპანიის თვითღირებულება შეესაბამება სავაჭრო კომპანიების თვითღირებულების მოდელს. მის უდიდეს ნაწილს რეალიზებული საქონლის ხარჯი წარმოადგენს

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,823,354	1,218,217
მაღაზიის ხარჯი	561,818	505,290
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	250,964	142,089
ლოჯისტიკის ხარჯი	240,189	151,170
სატელევიზიო რეკლამის ხარჯი	238,449	300,046
ციფრული რეკლამის ხარჯი	177,808	166,322
ადმინისტრაციული ხარჯი	125,346	59,560
საწყობის ხარჯი	104,257	80,338
თანამშრომელთა ჯანმთელობის დაზღვევის ხარჯი	47,449	40,291

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

სხვა მარკეტინგული ხარჯები	45,774	116,397
სასაჩუქრე ბარათების უსასყიდლოდ მიწოდების ხარჯი	27,689	8,000
სმს მომსახურების ხარჯი	18,645	18,644
რადიო რეკლამის ხარჯი	4,256	-
ფლაერები/პრომო გოგონების ხარჯი	1,271	16,949
უსასყიდლოდ მიწოდების ხარჯები მარკეტინგული მიზნებისთვის	641	1,765
ვიდეობლოგების გადაღების ხარჯი	290	-
ავტობუსების, სამარშრუტო ტაქსების ბრენდირება	-	27,966
ბრენდირებული ინვენტარის ხარჯი	-	34,054
გახსნის ღონისძიების ხარჯი	-	85,720
მერჩენდაიზინგის ხარჯი	-	33,559
ჯამი	3,668,200	3,006,378

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,410,875	1,113,982
მაღაზიის ხარჯი	189,775	132,611
IT დეპარტამენტის ხარჯი	106,177	89,227
ადმინისტრაციული ხარჯი	136,747	111,649
დღგ-ის ხარჯი	99,413	-
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	97,951	99,706
ლოჯისტიკის ხარჯი	70,042	35,475
მოგების გადასახადის ხარჯი (ესტონური მოდელით)	68,528	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	60,877	-
თანამშრომელთა ჯანმთელობის დაზღვევის ხარჯი	15,003	11,034
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	43,454	26,821
HR დეპარტამენტის ხარჯი	25,384	30,732
ქონების გადასახადის ხარჯი	16,080	9,876
აუდიტორული და საკონსულტაციო ხარჯები	13,645	-
საწყობის ხარჯი	13,288	16,597
საოპერაციო დეპარტამენტის ხარჯი	1,231	4,730
მერჩენდაიზინგის ხარჯი	217	21,264
ჯამი	2,368,686	1,703,704

არასაოპერაციო ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
საქონლის დანაკლისით მიღებული ზარალი	518,322	278,337
მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	288,847	14,000
დაზიანებული საქონლის ჩამოწერის ხარჯი	94,231	31,462
მარაგების გაუფასურების ზარალი	58,771	14,700
მაღაზიის ხარჯი	45,346	-
ძ.ს.-ის ჩამოწერის ხარჯი	12,694	-
დებიტორული დავალიანების ჩამოწერის ხარჯი	3,270	663

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

საქონლის ჩამოფასების ხარჯი	1,942	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	4	302
ჯამი	1,023,427	339,464

16. რისკის მართვა

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განავითარონ ბიზნესი.

კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიაღება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვინებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.

რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადაგადაცილებას, კლიენტების რეიტინგს. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდაღებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია.

*შპს „ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი“
ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)*

კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჩის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ღონისძიებების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

კომპანიის შესახებ

შპს ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი (შემდგომში “კომპანია” ან „მიჰაუსი“) 2018 წლის 26 ნოემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. კომპანია დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 406263378.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამშენებლო მასალების იმპორტი და საქართველოს ბაზარზე საცალო და საბითუმო რეალიზაცია. 2020 წლის 17 ივლისს კომპანიამ გახსნა თვისი პირველი ჰიპერმარკეტი თბილისში.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია თბილისი, ისნის რაიონი, ჯუმბერ ლეყავას ქუჩა #22.

კომპანია არის სააქციო საზოგადოება Hualing international special economic zone-ის შვილობილი, რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფლობს 100%-იან წილს. კომპანიის დაფინანსება და საკრედიტო დამოკიდებულება სწორედ ამ საზოგადოების მოდის. ამასთან, კომპანიის საქმიანობები მჭიდროდ არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოება Hualing international special economic zone მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან და პოლიტიკასთან.

კომპანიამ აქტიურად დაიწყო ელექტრონული მიმართულებით განვითარება. დღეის მდგომარეობით უკვე შექმნილია მიჰაუსის მობილურის აპლიკაცია და ვებ-გვერდი Mihouse.ge. ვთანამშრომლობთ უამრავ ონლაინ მიწოდების პლატფორმასთან.

დაგეგმილია ქსელის კიდევ უფრო გაფართოება. ძირითადად, საქართველოს რეგიონებში. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია ახდენს ახალი ლოკაციების მოძიებასა და შესწავლას. 2022 წლის სექტემბერში უკვე გაიხსნა კომპანიის შოურუმი ქ. ქუთაისში.

მზარდი კონკურენციის პირობებში ჩვენი მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და შესთავაზოთ მომხმარებელს მაღალხარისხიანი სამშენებლო და სარემონტო მასალები.

დღეისათვის მიჰაუსის მფლობელობაშია მეგაცენტრი ქ. თბილისში ჰუალინგის ტერიტორიაზე, სადაც სრულადაა წარმოდგენილი კომპანიის პროდუქცია. კომპანიის სამომავლო გეგმებში შედის აღნიშნული საგამოფენო დარბაზის განვითარება/გაუმჯობესება, ასორტიმენტის გაზრდა და მომხმარებელზე მორგებული სერვისის და ფასების შეთავაზება.

კომპანიაში ფუნქციონირებს ERP სისტემა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საცალო და საბითუმო გაყიდვების, ლოჯისტიკის, ფინანსებისა, ადამიანური რესურსების მართვისა და მარკეტინგის მოდულების მართვა და პროცესების ოპტიმიზაცია.

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე აისახება საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებასა და დახვეწას.

მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები

	2021	2020	ცვლილება	ცვლილების %
ამონაგები	19,181,236	9,435,648	9,745,588	103%
თვითღირებულება	-15,727,680	-7,768,554	-7,959,126	102%
საერთო მოგება	3,453,556	1,667,094	1,786,462	107%
მარკეტინგის და მიწოდების დანახარჯები	-3,730,858	-3,006,378	-724,480	24%
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-2,305,941	-1,703,705	-602,236	35%
საოპერაციო მოგება	-2,583,243	-3,042,989	459,746	-15%
ვალდებულების დაფარვის კოეფიციენტები	2021	2020	ცვლილება	ცვლილების %
ვალის თანაფარდობა კაპიტალთან	37%	24%	0.1	53%
ვალის თანაფარდობა აქტივებთან	27%	19%	0.1	41%
სამუშაო კაპიტალი	6,729	8,214	(1,484.4)	-18%
ლიკვიდურობის კოეფიციენტები	2021	2020	ცვლილება	ცვლილების %
ნაღდი ფულის თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან	0.62	0.45	0.2	38%
მიმდინარე ლიკვიდურობა	3.18	4.40	(1.2)	-28%
სწრაფი ლიკვიდურობა	1.07	1.15	(0.1)	-7%
მომგებიანობის კოეფიციენტები	2021	2020	ცვლილება	ცვლილების %
წმინდა მოგების მარჟა	-15.86%	-30.60%	15%	-48%
საერთო მარჟა	18.00%	17.67%	0%	2%
უკუგების კოეფიციენტები	2021	2020	ცვლილება	ცვლილების %
კაპიტალის უკუგება (ROE)	-33%	-30%	-3%	10%
აქტივების უკუგება (ROA)	-26%	-26%	0%	-2%
საოპერაციო კოეფიციენტები	2021	2020	ცვლილება	ცვლილების %
მარაგების ბრუნვა დღეში	165	164	1	1%
სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვა დღეში	14	9	5	55%
სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვა (დღე)	61	41	20	49%
ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლი	118	132	(14)	-10%

ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ამზადებს ფინანსური ანგარიშგებას და მენეჯმენტ-რეპორტებს რეგულარულად, რაც ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს მოახდინოს ფინანსური რისკების შეფასება. როდესაც საქმე ეხება ახალ პროექტებს, კომპანია წინასწარ ახდენს მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების, სხვადასხვა

დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტების დათვლას და აღნიშნულზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ პროექტებზე თანხების მისამართად.

ყოველი წლის ბოლოს, ფინანსური დეპარტამენტი, აღმასრულებელ დირექტორთან, მარკეტინგთან, შესყიდვებთან, ასევე საწყობის და მაღაზიის მენეჯმენტთან ერთად, გასული პერიოდების შედეგებზე, მიმდინარე გარემოებებზე და მოლოდინებზე დაყრდნობით ადგენს მომდევნო წლის გაყიდვების წლიურ გეგმას თვეების ჭრილში, რომელსაც შემდგომში ამტკიცებს დედა კომპანია. აღნიშნული გეგმით კომპანია ითვალის კონკრეტულ საანგარიშო პერიოდებში რა შემოსავლების გენერირებას შეძლებს. ამაზე დაყრდნობით იგეგმება შესყიდვები და ხდება დაკავშირებული ხარჯების ბიუჯეტირება. წელიწადში ორჯერ, ხდება შედეგების სრული მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ბიუჯეტში. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორმა, როგორიცაა ვალუტის კურსის ცვლილება და ფასების მკვეთრი ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე. ფინანსური დეპარტამენტი მუდმივად აკონტროლებს კურსთა შორის სხვაობებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები ისახება პროდუქციის გასაყიდ ფასში, რაც ახდენს კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირებას. გარკვეული პერიოდულობით ასევე ხდება მნიშვნელოვან საქონელზე ფასების ადგილზე შესწავლა. ამ შემთხვევაშიც, მკვეთრი ცვლილებების შემთხვევაში ხდება საქონლის ფასების გადახედვა.

კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა

კომპანია, ტრეინინგისა და ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ როლს და ვალდებულებას.

აღმასრულებელ დირექტორის და ფინანსურ მენეჯერს აქვთ მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და მიმოხილვაზე. ფინანსური მენეჯერი ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი დირექტორის წინაშე, ხოლო ეს უკანასკნელი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს დედა კომპანიას. დამფუძნებელი კომპანიის შიდა კონტროლის განყოფილებაც ატარებს შემოწმებებს, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი შესაბამისი რისკები და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კონტროლი. ქვემოთ ჩამოთვლილია მიჰაუსის ის ძირითადი რისკები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.

საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება და შესაბამისად აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი. კომპანიის ფინანსურ განყოფილებას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომ უზრუნველყოს ამ რისკების მინიმიზაცია.

კიბერშეტევებით გამოწვეული რისკები

კომპანიის საქმიანობა დამოკიდებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე. შესაბამისად კიბერშეტევებმა შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხებები მიჰაუსის საქმიანობაში. კომპანია ახდენს ამ სისტემების დაცვას კვალიფიციური შიდა კადრებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშვება კომპანიის სხვა მოთხოვნებიდან და ბანკებში მიმდინარე

ანგარიშებსა და დეპოზიტებზე არსებული ფულადი სახსრებიდან. კომპანიის დებიტორული ნაშთები არაა იმდენად მაღალი და მიიჩნევა რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს კომპანიაზე.

ფინანსური ინსტრუმენტები კატეგორიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

	2021	2020
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	753,541	1,038,594
გადახდილი ავანსები	653,944	651,972
ფული და ფულის ექვივალენტები	1,912,277	1,083,731
სულ ფინანსური აქტივები	3,319,762	2,774,297

	2021	2020
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	3,086,926	2,367,281
მიღებული ავანსები	3,660	51,087
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,090,585	2,418,368

სავალუტო რისკი

კომპანია განიცდის სავალუტო რისკის გავლენას, რადგან არსებობს განსხვავება - შესყიდვების და კომპანიის გაყიდვების - სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. საერთაშორისო ოპერაციები უმეტესად დენომინირებულია ევროში და აშშ დოლარში. კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი	
ფინანსური აქტივები	ევრო	აშშ დოლარი
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება		
გადახდილი ავანსები	17,960	187,075
ფული და ფულის ექვივალენტები	249	2,441
სულ ფინანსური აქტივები	18,209	189,516

ფინანსური ვალდებულებები

კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	11,122	58,484
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,122	58,484
სულ წმინდა პოზიცია	7,087	131,032

2020 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები	ევრო	აშშ დოლარი
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება		
გადახდილი ავანსები	4,511	167,690
ფული და ფულის ექვივალენტები	187	123,773
სულ ფინანსური აქტივები	4,698	291,463

ფინანსური ვალდებულებები

კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	947	82,737
სულ ფინანსური ვალდებულებები	947	82,737
სულ წმინდა პოზიცია	3,751	208,726

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაიფარება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანია ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ისე კრიზისულ პერიოდში, დამატებითი დანაკარგების და კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. კომპანიამ კოვიდ 19-ის ვირუსთან დაკავშირებული საყოველთაო შეზღუდვების დაწესების პერიოდში უპრობლემოდ შეძლო ადეკვატურად ემართა სხვადასხვა ოპერაციები, მიეღო შემოსავლები და ამავდროულად გაესტუმრებინა მიმდინარე ვალდებულებები, საოპერაციო ხარჯები და სხვა.

სხვა რისკები - COVID 19

კოვიდ-19 პანდემიის გამოჩენამ 2020 წლის დასაწყისში და სწრაფმა გავრცელებამ მთელი მსოფლიოს ბიზნესს გარემოზე მოახდინა გავლენა, მათ შორის საქართველოზეც. პოტენციური საფრთხის თავიდან ასარიდებლად საქართველოს მთავრობამ დააწესა გარკვეული შეზღუდვები, რაც ეხებოდა საზღვარზე ხალხის მოძრაობის აკრძალვას, ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს უცხოელი ვიზიტორებისთვის. ასევე, მთავრობამ მოუწოდა ბიზნესს, რომ თუ შესაძლებლობა ჰქონდათ თანამშრომლები გადაეყვანათ დისტანციურ მუშაობაზე.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული რისკებისა კომპანია ჩვეულებრივ აგრძელებს ოპერირებას და მენეჯმენტი არ ელოდება ვირუსის მიზეზით რაიმე მნიშვნელოვნად უარყოფით ცვლილებას კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე.

კვლევა და განვითარება

კომპანია ასრულებს კვლევას და განვითარებას კომპანიის შიდა რესურსით. აღნიშნული მოიცავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, პროდუქციის ნომენკლატურის, მომსახურების მიმოხილვის, პროგნოზების, მიზანშეწონილობის კვლევების განვითარებას და დანერგვას, შესაძლო ახალი მაღაზიების გახსნისა და სხვა საქმიანობისთვის, რაც მომზადდება კომპანიის ფარგლებში სხვადასხვა უფლებამოსილი პირების / დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არსებული პრაქტიკა და შედეგები დამაკმაყოფილებელია კომპანიის ამჟამინდელი განვითარებისთვის და არ საჭიროებს დამატებით გარეშე კონსულტაციას.

ადმასრულებელი დირექტორი

მიხეილ ბრეგვაძე

ფინანსური დირექტორი


ლევან ბორცვაძე

30 სექტემბერი, 2022 წ.

თბილისი, საქართველო

ადმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი



მიხეილ ზრეგვაძე

ლევან ბორცვაძე

28 სექტემბერი, 2022 წ.

თბილისი, საქართველო